

ვსკი ამგზავთ ვიხატე ვინც

200 23

საქართველოს საგარეო ურთიერთობების
მინისტრო
ФОНД 287 № 204006 1 134.340. 23
სიხე

საქართველოს საგარეო ურთიერთობების
მინისტრო
ФОНД 287 № 204006 1 134.340. 23
სიხე

საქართველოს საგარეო ურთიერთობების
მინისტრო
ПОСЛАНОГО ХРАМЕНИИ

საქართველოს საგარეო ურთიერთობების
16. 01 25 21

გვიკინაული და მივიწყებული საკითხი

კოჯრის საშუალო სკოლის ქართულ სექტორზე სასწავლო წლის ბოლოს 350 მოსწავლე ირიცხებოდა. აქედან საშემოდგომო გამოცდა მიეცა 39 მოსწავლეს. ეს ციფრი სკოლის პედაგოგიური კოლექტივის ცუდ მუშაობას როდი გვიჩვენებს. პირიქით, იგი ვიწროებს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში ცალკეული საგნის მასწავლებლები უნარიანად და მონდომებით წარმართავდნენ თავიანთი საგნის სწავლებას, იბრძოდნენ აკადემიური ჩამორჩენილობის წინააღმდეგ, ცდილობდნენ მინიმუმამდე შეემცირებიათ გამოცდამიციმულ ბავშვთა რაოდენობა. მაგრამ 39 მაინც არც ისე მცირე რიცხვია. რა მუშაობას ატარებს სკოლა ამჟამად ამ ბავშვებთან? როგორ უწყევს მათ დახმარებასა და კონტროლს? როგორ ემზადებიან ისინი მოახლოებული საშემოდგომო გამოცდებისათვის?

ეს კითხვები სასკოლო ცხოვრების მეტად მღელვარე და აქტიუალური კითხვებია, ამდენად, შეიძლება მას უფრო ზოგადი ხასიათი მივეცეთ. მართლაც და, რა კონკრეტულ დახმარებას უწყევს სკოლა საშემოდგომო გამოცდამიციმულ ბავშვებს? რას გვიჩვენებს პრაქტიკა ამ დარგში?

დაუბრუნდეთ ისევ კოჯრის საშუალო სკოლას, რომელიც ერთ-ერთ მოწინავე სკოლად ითვლება თბილისის რაიონში. ჩვეულებრივად, როგორც ყველგან, სასწავლო წლის ბოლოს აქაც გამოუტხადეს მოსწავლეებს გამოცდების შედეგად მიღებული ნიშნები. ეს ნიშნები გააცნეს მშობლებსაც. შედეგად საშემოდგომო გამოცდამიციმულ ბავშვთა სია, სათანადო ცხრილი, გამოიყო ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციების დღეები. გარეგნულად ყველაფერი წესიერად გაფორმდა.

და ამით სკოლის მჩქეფარე მაჯისციმაც დროებით შეწყდა. მასწავლებლები წავიდნენ-წამოვიდნენ, დირექცია ახალი სასწავლო წლისათვის მომზადებას

შეუდგა, სკოლაში დარჩა დარაჯი და... მუქარის შემცველი საერთო განკარგულება:

— მოემზადეთ საშემოდგომო გამოცდებისათვის, თორემ...

და აი, „ემზადებიან“ ისინიც—გამოცდამიციმული ბავშვები. ზოგი ნათესავეის სანახავად გაჰყვა ბებიას შორეულ სოფელში, ზოგი კოჯრის გრილ მიდამოებში ერთობა სააგარაკოდ ჩამოსულ ტოლმებთან, ზოგიც მეცადინეობს, მაგრამ... დამხმარე, შემსწორებელი, გეზის მიმცემი არავინ ჰყავს.

დაინტერესებულ მშობლებს, რა თქმა უნდა, ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ ზაფხულის პერიოდში: გამონახავენ მომზადებულ, მცოდნე ადამიანს, მასთან მიამაგრებენ ბავშვს, ნაკლებად დაასაქმებენ, ხელს შეუწყობენ, იზრუნებენ. მაგრამ ყველა მშობელი ხომ ასე არ იქცევა? დავეყრდნოთ თუ არა მხოლოდ მშობელს?..

აი, მეექვსეკლასელი ე. დ-ლი. მას გამოცდა აქვს ორ საგანში, მაგრამ დღემდე წიგნი ხელში არ აუღია, დარბის მინდორ-ველად, დათამაშობს, დროს უქმად ატარებს. მშობლები კი ამ მდგომარეობას უღარდელად შესცქერიან.

—რა ვქნათ, თვითონ არ მეცადინეობს, საღდა წავიყვანოთ, თუ ჩარჩება, ჯანდაბას, ჩარჩება და ის იქნებაო,— აცხადებენ ისინი.

და ეს ერთეული შემთხვევა როდია. ასევე, „ემზადებიან“ მეოთხეკლასელი გ. თ., მეექვსეკლასელი გ. მ-ვი, რ. წ-რი და სხვ. ხოლო რას აკეთებს სკოლა? სკოლა მათ, შეიძლება ითქვას, დღემდე არავითარ პრაქტიკულ დახმარებას და კონტროლს არ უწყევს. არავინ ჩანს სკოლაში, არც არავინ კითხულობს მათ ამბავს. მამ კონსულტაციის ცხრილი რისთვისაა შედგენილი? მოსაჩვენებლად?..

სამწუხაროდ, კოჯრის სკოლის მაგალითი გამოჩაგლისი როდია. ასეთი მდგომარეობა დამახასიათებელია ჩვე-

ნი სკოლების დიდი უმრავლესობისათვის. საშემოდგომო გამოცდამიციმულ ბავშვებთან მუშაობის საკითხში ცოცხალ საქმეს ჯერ კიდევ ჰკლავს ფორმალური და თვალისახვევის ტენდენციები. მაინც, რა ხდება ფაქტიურად? პირუთვნელობა მოითხოვს ვალიაროთ ჩვენნი მუშაობის მანკიერი მხარე ამ დარგში.

საზაფხულო დასვენებითა და ახალი სასწავლო წლისათვის მზადებით გართულნი, ჩვენ ხშირად ვივიწყებთ გამოცდამიციმულ ბავშვებს, მათ გამოსწორებას მთლიანად ვაყისრებთ მშობლებს, ხოლო ეს უკანასკნელნი ყოველთვის როდი ახერხებენ ამას. ამიტომაც ასეთი მოსწავლენი ხშირად უფრო დაბალი ცოდნით ცხადდებიან საშემოდგომო გამოცდაზე, ვიდრე მათ ეს სასწავლო წლის ბოლოს ჰქონდათ. ზოგიერთი სკოლის დირექცია, საერთო პრესტიჟის შენარჩუნების მიზნით, საზიანო „დათამაშობის“ პოზიციას ადგება, გამოცდები მშვიდ კომპრომისულ ხასიათს იღებს, იწერება დაუშვასურებელი ნიშნები და ასე გადაჰყავთ მოსწავლე შემდეგ კლასში. მაგრამ რა სარგებლობა მოაქვს ყოველივე ამას ბავშვისათვის? სახელმწიფოსათვის? საჭიროა ღრმად ჩაეუფიქრეთ ამ ფაქტებს.

საშემოდგომო გამოცდამიციმულ ბავშვებთან მუშაობა ჩვენი სკოლის ერთ-ერთი მტკივნეული, შედარებით მივიწყებული საკითხია. იგი მეორე-წლიანობის წინააღმდეგ ბრძოლის განუყოფელი ნაწილია. ამიტომ მას მთელი სერიოზულობით, პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ.

საშემოდგომო გამოცდამიციმულ ბავშვებთან მუშაობის კონკრეტული ფორმებისა და მეთოდების დადგენის დროს პირველ რიგში უნდა გამოვიყოფოთ სკოლის საერთო მიზნებიდან. ეს მიზანი კი უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ აღმოვფხვრათ მეორეწლიანობა და აკადემიური ჩამორჩენილობა— სასკოლო მუშაობის ეს დიდი „წუნი“, მივალწიოთ იმას, რომ თითოეული მოსწავლე ასწრებდეს ყველა საგანში. ამისათვის ვიბრძვით მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ასე დამახასიათებლად, ენერ-

გიის დაკვიმვით, ერთიანი დარაზმულობით. მაგრამ რა უფლებებით ვაღუენებთ ამ მიზნისაკენ სწრაფვას ზაფხულის არდადეგების პერიოდში? რისთვის ვტოვებთ გამოცდამიციმულ ბავშვებს უკონტროლოდ და პედაგოგიური მეთოდულობის გარეშე? ნუ თუ შეუთავსებელია მასწავლებელთა საზაფხულო დასვენება გამოცდამიციმული მოსწავლენისადმი სისტემატური კონტროლისა და ხელმძღვანელობის სწორი განიზაცისათვის?

ავიღოთ ბორჯომის რაიონის ტაძრისის საშუალო სკოლის მაგალითი. აქ სკოლის დირექციამ გამოცდამიციმულ ბავშვებთან მუშაობის საკითხი ორგანიზულად დაუკავშირა ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას და იგი თავისი შეუნიელებელი ყურადღებისა და სისტემატური კონტროლის ქვეშ მოაქცია. ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციების ჩატარების გეგმის შედგენისას გათვალისწინებულ იქნა რეალური პირობები და სკოლის ნამდვილი შესაძლებლობანი. ხოლო როგორია ეს პირობები? ცნობილია, რომ ზაფხულის პერიოდში მასწავლებლების ხშირი მოძრაობაა ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე. მაგრამ იშვიათია ისეთი სკოლა, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს ერთ-ორი მასწავლებელი მაინც არ რჩებოდეს. და აი, ისინი წინასწარ შეთანხმებულ დღეებში ცვლიან ერთმანეთს, ინიშნებიან მორიგე კონსულტანტებად, რომელთა მოვალეობაა სკოლაში შეკრებილ გამოცდამიციმული ბავშვების მეცადინეობას მისცენ ორგანიზებული, სისტემატური ხასიათი, გაუწიონ მათ პედაგოგიური მეთოდულობა. გამოცდამიციმულმა ბავშვებმა კი წინდაწინ იციან, როდის უნდა მოვიდნენ სკოლაში, ხდება გამოცხადების აღრიცხვა. ეს კი აღლიერებს მათ პასუხისმგებლობას, აიძულებს სისტემატურად იმუშაონ წიგნზე, მაქსიმალურად გამოიყენონ დრო. სკოლის დირექცია კონტროლს უწყევს მორიგე კონსულტანტის მუშაობას, სისტემატური კავშირს ამყარებს გამოცდამიციმული მოსწავლეების მშობლებთან, არკვევს, რა უშლის მათ ხელს, ეხმარება, ახალი-

სებს, აინტერესებს მათ თავიანთი შედეგების აკადემიური ჩამორჩენილობის გამოსწორებისათვის ბრძოლით. ამ შემთხვევაში სკოლა და ოჯახი ისევე გაერთიანებული ძალონით იბრძვიან ჩამორჩენილი მოსწავლის გამოსასწორებლად, როგორც ეს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში წარმოებს. თითოეული საგნის მასწავლებელი მოვალედ თვლის თავის თავს თვალყური ალევხოს თავის საგანში გამოცდამიციმული ბავშვის მუშაობას, არ მიუშვას იგი უწყურადღებოდ, მარტოოდენ მშობლების ზედამხედველობის ამარად; თითოეულმა მასწავლებელმა კარგად იცის, რომ მის საგანში ამა თუ იმ მოსწავლის ჩამორჩენა—ეს მისი ჩამორჩენაც არის, ხოლო ჩამორჩენილობის დაძლევა—ეს ყოველი საბჭოთა მოქალაქის ღირსების საქმეა. ამაში მტკავნდება მასწავლებელთა შორის იდეურ-პოლიტიკური მუშაობის საქმიანი შედეგები. ამიტომაც, რომ 421 მოსწავლიდან წელს აქ გამოცდა მხოლოდ 43 მოსწავლეს დაენიშნა; ხოლო ეს ორმოცდასამივე მოსწავლე გულმოდგინედ, ბეჯითად ემზადება ჩამორჩენილობის გამოსასწორებლად.

რატომ არ შეიძლება ტაძრისელთა ამ ტრადიციის მტკიცედ დამკვიდრება ყველა სკოლაში? რატომ არ უნდა ზრუნავდეს სკოლის მთელი პედაგოგიური კოლექტივი გამოცდამიციმული ბავშვის კარგად მომზადებისათვის გამოცდის წარმატებით ჩასაბარებლად? განა საშემოდგომო გამოცდა არ წყვეტს სკოლის საბოლოო, საერთო წარმატების ბელს? მაგრამ აქ საქმე იმაშია, რომ ზაფხულის პერიოდში სკოლასა და ოჯახს შორის, კლასის ხელმძღვანელსა და მშობელს შორის წყდება ის სისტემატური, გეგმამეწონილი კავშირი, რაც ასე დამახასიათებელია მთელი სასწავლო წლის პროცესისათვის. ხოლო ამ კავშირის გაწყვეტას, როგორც აღვნიშნეთ, კარგი შედეგი არ მოაქვს.

მშობელთა პედაგოგიზაციას, მშობელთა შორის პედაგოგიური ცოდნის პროპაგანდას უკანასკნელ ხანებში ფართო ყურადღება ექცევა. მაგრამ ხშირად ეს მუშაობა ზერეული, საერთო ხასიათს ატარებს, იგი არ წვდება ხასკო-

ლო ცხოვრების ყველა უბანს, ყველა ამოცანას. სულ სხვანაირი პედაგოგიური მიდგომა სჭირდება გამოცდამიციმულ ბავშვს. არ შეიძლება ამ შემთხვევაში ისე ვიმოქმედოთ მასზე, როგორც სასწავლო წლის განმავლობაში ვმოქმედებდით. მაშინ ის კლასის მთელი კოლექტივის სრულყოფილებიან წევრად თვლიდა თავს. მშობლებისათვის ჯერ კიდევ უცნობი იყო მისი ჩამორჩენილობის საბოლოო შედეგი. რომელი ბავშვი არ განიცდის მწვავედ სიტყვა „გამოცდას“? რომელი ბავშვი არ გრძნობს ამ შემთხვევაში უხერხულობას, რიდს მშობლისა და სკოლის წინაშე? და სწორედ ამიტომაც საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე, თითოეული გამოცდამიციმული ბავშვის ინდივიდუალურ თავისებურებათა ყოველმხრივ გათვალისწინება, მისდამი განსაკუთრებული, დიფერენცირებული მიდგომა. ეს კარგად უნდა იცოდეს ყოველმა მშობელმა.

მაგრამ მშობელთა შორის მუშაობის დროს ხშირად სრულიად მივიწყებულია გამოცდამიციმული ბავშვებისადმი მიდგომის სპეციფიკური ხასიათი. ამ საკითხებს იშვიათად შეხვდებით მშობელთა უნივერსიტეტების თემატიკურ გეგმებშიც კი. ამიტომ, როცა სკოლა წყვეტს კავშირს ოჯახთან და გამოცდამიციმული ბავშვის მთელ ბელს მხოლოდ მშობლებს ანდობს, ამით, ბუნებრივია, ის აბრკოლებს აკადემიური ჩამორჩენილობის გამოსწორების საქმეს.

საჭიროა ეს საკითხი პედაგოგიური კოლექტივების მსჯელობის საგნად ვაქციოთ, უფრო კონკრეტული, საქმიანი, ეფექტური დახმარება აღმოვუჩინოთ გამოცდამიციმულ ბავშვებს, სწორად დავგეგმოთ ამ მუშაობის ყოველი ეტაპი, რათა უზრუნველყვით ასეთ მოსწავლეთა საუკეთესოდ მომზადება საშემოდგომო გამოცდებისათვის.

ა. თოფურია

11. კორი 1949. n. 33
11-1111

